

35%



„ჩიისა და ჩიის ნაწარმის“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტის აღსრულების სირთულეები

DIFFICULTIES OF IMPLEMENTING THE TECHNICAL REGULATION ON MILK AND DAIRY PRODUCTS

პოლიტიკის ნაჩვენები
POLICY PAPER

ავტორები:
სალომე გელაშვილი, სალომე დეისაძე
ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

Authors:
Salome Gelashvili, Salome Deisadze
ISET Policy Institute



**„ჩიისა და ჩიის ნაწარმის“
შესახებ ტექნიკური რეგლამენტის
აღსრულების სირთულეები**

**DIFFICULTIES OF IMPLEMENTING
THE TECHNICAL REGULATION ON MILK
AND DAIRY PRODUCTS**

**პოლიტიკის ნაჩვენები
POLICY PAPER**

ავტორები:

სალომე გელაშვილი, სალომე დეისაძე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

Authors:

Salome Gelashvili, Salome Deisadze

ISET Policy Institute

პროექტის შესახებ

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო სანარმოების მხარდაჭერი ინიციატივა“ (FASSI) ფარგლებში. პროექტის განმახორციელებლები არიან: საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი (ISET-PI), ასოციაცია „ათინათი“, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) და ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA).

პროექტი მიზნად ისახავს მცირე და საშუალო აგროსანარმოების ევროკავშირის ბაზარზე გასვლაში დახმარებას, ბიზნესის მხარდაჭერი ორგანიზაციების გაძლიერების გზით.

ABOUT THE PROJECT

This document was developed within the project “Food and Agriculture SME Support Initiative (FASSI)” funded by the European Union and implemented by the Georgian Farmers’ Association together with its partner organizations: ISET Policy Institute, Civil Development Agency (CiDA), Export Development Association (EDA), and Association Atinati.

The project’s main objective is to strengthen the capacity of Business Support Organizations in the food and agriculture sectors so that they may more effectively assist their members to comply with the new regulations and gain access to the EU market.

1. შესავალი	
1. INTRODUCTION	5
2. გამოწვევები	
2. CHALLENGES	6
2.1 ფიზიკური პირების შემთხვევაში, რძისა და რძის ნაწარმის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის არარსებობა.	
2.1. Nonexistent control mechanisms for natural persons at the stages of producing, processing, and distributing milk and dairy products.....	7
2.2 იურიდიული პირების შემთხვევაში, რძისა და რძის ნაწარმის დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის ნაკლებობა	
2.2. Lack of control mechanisms for legal persons at the stages of distributing milk and dairy products	15
2.3 მომხმარებლის დაბალი ცნობიერება	
2.3. Consumers' low awareness	17
3. პრობლემის გადაჭრის გზები	
3. WAYS OF SOLVING THE PROBLEM	25
4. რეკომენდაციები	
4. RECOMMENDATIONS	27
4.1. საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ახალი რეგულაციების აღსრულების მექანიზმების შემუშავება	
4.1.Improve the legislative framework and elaborate mechanisms for enforcing new regulations	27
4.2. მოწყვლადი ჯგუფებისთვის სტიმულების მექანიზმების შემუშავება	
4.2. Elaborate incentive mechanisms for vulnerable groups.....	28
4.3. ინტენსიური მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა	
4.3. Promote the development of intensive farming.....	29
4.4. მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინფორმაციო კამპანიების ჩატარება	
4.4. Conduct information campaigns in order to increase customers' awareness	30
4.5. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ასოციაციების გაძლიერება	
4.5.Strengthen civil society and business support organizations and associations.....	31
გამოყენებული ლიტერატურა	
BIBLIOGRAPHY	33

1. შესავალი

2015 წლის 3 აპრილს საქართველოს მთავრობამ „რძისა და რძის ნაწარმის“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი მიიღო, რომელიც 2015 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა. ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს „რძისა და რძის ნაწარმის, რძის შემცველი პროდუქტის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას“. იგი განსაზღვრავს რძისა და რძის ნაწარმის განმარტებებს და მისი რეგულირების ობიექტს წარმოადგენს ნედლი რძე და ნედლი ნალები, სასმელი რძე და სასმელი ნალები, რძემჟავა პროდუქტი, კარაქი, ყველი და ყველის პროდუქტი, და რძის გადამუშავების თანაწარმი პროდუქტი (რძის ნაწარმის გადამუშავებისას მიღებული თანმდევი პროდუქტი).

2017 წლის 1 ივლისიდან, რეგლამენტში შესული ცვლილებების თანახმად, აკრძალულია რძის ფხვნილისგან დამზადებულ პროდუქტზე ტერმინი „ყველის“ დარქმევა. დარეგულირდა კარაქის საკითხიც. რეგლამენტის თანახმად, დაუშვებელია ეტიკეტზე, მათ შორის, ბიზნესოპერატორის საფირმო დასახელებაში ტერმინი „კარაქის“ გამოყენება, თუ პროდუქტის წარმოებისათვის გამოყენებულია მცენარეული ან სხვა ცხიმი, გარდა რძის ცხიმისა¹. ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი ჯარიმდება 400 ლარის ოდენობით, თუ დარღვევა პირველად ხდება, 1 წლის განმავლობაში განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში კი, ჯარიმის ოდენობა შეადგენს 1200 ლარს.

ტექნიკური რეგლამენტის მიღება განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს ბაზარზე განთავსებული რძე და რძის პროდუქტები არ შეესაბამებოდა ამ დასახელების

1. INTRODUCTION

On April 3rd, 2015, the government of Georgia adopted the Technical Regulation on Milk and Dairy Products that was enacted on August 1st, 2015. The technical regulation aims “to determine unified principles for regulating production, processing, and distribution of milk and dairy products as well as the protection of customers’ rights”. It provides definitions of terms “milk and dairy products”. The main objects of the regulation are raw milk and cream, drinking milk and cream, lactic acid products, butter, cheese and cheese products, and byproducts of milk (products obtained while processing dairy products).

As of July 1st, 2017, according to the changes in the regulation, the use of milk powder in cheese production is prohibited. Butter has been regulated as well. Based on this regulation, it is unacceptable to use the word “butter” on the label including the name of a business operator when a product contains vegetable or any type of fat other than milk fat¹. In case of violating these rules, the business operator will receive a fine in the amount of GEL 400 for the first violation; if the same business operator commits a violation again within a year, the fine will increase to GEL 1200.

The reason behind adopting this technical regulation was the fact that the milk and dairy products available on the Georgian market did not correspond to the food label, which proved to be misleading for customers. Thus, the main goal of the

1 ამოღებულია: <http://nfa.gov.ge/ge/media-centri/axali-ambebi0/siaxle1/rdzis-teqnikur-reglamentshi-cvilebebi-shedis.page>, 2018 წელი.

1 Excerpt from <http://nfa.gov.ge/ge/media-centri/axali-ambebi0/siaxle1/rdzis-teqnikur-reglamentshi-cvilebebi-shedis.page>, 2018.

სურსათს, რასაც მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავდა. ამრიგად, რეგლამენტისა და მასში შესული ცვლილებების უმთავრესი მიზანი მომხმარებელთა ინტერესის დაცვაა.

ამ კვლევის მიზანია, დადგინდეს, თუ როგორ მიმდინარეობს ტექნიკური რეგლამენტის აღსრულება და რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ეს პროცესი. ნარკვევში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებს, ექსპერტებთან, ცალკეულ ფერმერებთან, კოოპერატივებთან, კერძო სექტორის, მთავრობის, არასამთავრობო სექტორისა და ასოციაციების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებსა² და მომხმარებლების ონლაინ გამოკითხვის შედეგებს.

2. გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური რეგლამენტის მიღება ხელს უწყობს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ამჟამად არსებობს სამი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ხელს უშლის რეგლამენტის მთავარი მიზნის მიღწევას:

1. **ფიზიკური პირების** შემთხვევაში, რძისა და რძის ნაწარმის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის არარსებობა;
2. **იურიდიული პირების** შემთხვევაში, რძისა და რძის ნაწარმის დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის ნაკლებობა;
3. **მომხმარებლის** დაბალი ცნობიერება იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი აქვს მას რეგლამენტის აღსრულების პროცესში.

regulation and its amendments is to protect customers' interests.

The goal of this research is to determine how the implementation of the technical regulation is taking place and what difficulties have arisen in the process. The information presented in this paper is based on statistical data, interviews² conducted with experts, individual farmers, cooperatives, representatives of the private sector, government, non-governmental organizations and associations, and the results of online customer survey.

2. CHALLENGES

Despite the fact that adopting this technical regulation protects customers' interests, the following three important subjects prevent the regulation from achieving its main goal:

1. Nonexistent control mechanisms **for natural persons** at the stages of producing, processing, and distributing milk and dairy products;
2. Lack of control mechanisms **for legal entities** at the stages of distributing milk and dairy products;
3. **Consumers'** low awareness of their role in supporting the state's enforcement of technical regulation on dairy products.

² სულ ჩატარდა 15 ინდივიდუალური ინტერვიუ.

² In total, 15 interviews were conducted.

2.1 ფიზიკური პირების შემთხვევაში, რძისა და რძის ნაწარმის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის არარსებობა.

კონტროლის ნაკლებობა ფიზიკური პირების მიმართ უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია იმ საკანონმდებლო ჩარჩოთი, რომელიც ამჟამად მოქმედებს საქართველოში. დღევანდელი საკანონმდებლო ჩარჩო მორგებულია ფიზიკური პირების მიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე და შეღავათებს ანიჭებს მათ როგორც სურსათის მწარმოებლის რეგისტრაციის, ისე აღიარების კუთხით. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით გათვალისწინებული სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება იმ ფიზიკურ პირზე, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ოჯახური წარმოების სუბიექტი. განმარტების თანახმად, ოჯახური წარმოების სუბიექტი არის ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით. ამრიგად, ოჯახურ მეურნეობებზე, რომლებიც კვალიფიცირდებიან ოჯახური წარმოების სუბიექტებად, არ ვრცელდება კოდექსის მოთხოვნები. მათზე არც სურსათის მწარმოებლად რეგისტრაციის მოთხოვნა არ ვრცელდება, რომელიც სავალდებულოა ნებისმიერი პირისთვის, რომელიც ეწევა სურსათის პირველად წარმოებას (მათ შორის, ხილის მოყვანას, ცხოველების მოშენებას, თევზჭერას, სატბორე მეურნეობას, რძის შეგროვებას) მისი რეალიზაციის მიზნით. კანონის თანახმად, თუ ფიზიკური პირი (ოჯახური წარმოების სუბიექტი) პირველად წარმოებას (მაგალითად, საკუთარი ეზოს ხილის მოკრეფა და არასისტემურად ადგილზე რეალიზაცია) ეწევა არაორგანიზებულად ან/და საკუთარი მოხმარების მიზნით, მაშინ მას

2.1 Nonexistent control mechanisms for natural persons at the stages of producing, processing, and distributing milk and dairy products;

The lack of control towards natural persons is caused primarily by the existing legislative framework in Georgia. Today's legislative framework is attuned to the poor socio-economic conditions of natural persons and grants them certain reliefs in the registration process as a food producer, as well as in terms of recognition. The control that the Food /Animal Feed Safety, Veterinary and Plant Protection Code implies does not apply to natural persons who are classified as family production entities/family holdings. According to this definition, a family production entity is a natural person who produces food/animal feed, and/or primary production in an unorganized manner and/or for personal use. Thus, the requirements of the code do not apply to family farms who qualify as family holdings. Additionally, the requirement of being registered as a food producer does not apply to them either in spite of the fact, that this requirement is mandatory for anyone who produces primary food products (including, fruit, livestock breeding, fishing, wetland farming, and collecting milk) with the purpose of further selling. According to the law, if a natural person (a family holding) engages in primary production (for example picking fruit from their own yard and selling it locally, unsystematically) in an unorganized way and/or for personal use, he/she is not obliged to be registered as a food producer.

IN addition to registration relief, this type of natural person (family holding) is

არ მოეთხოვება სურსათის მწარმოებლად რეგისტრაციის გავლა.

ასეთი ტიპის ფიზიკური პირი გათავისუფლებულია ბიზნესოპერატორად აღიარების მოთხოვნისგანაც.

ამრიგად, ამჟამინდელი კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკური პირები სარგებლობენ მნიშვნელოვანი შეღავათებით და მათ არ ევალებათ ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია და შემდგომი აღიარება, თუ ისინი სისტემატიურად და ორგანიზებულად არ ეწევიან თავისი ნაწარმის რეალიზაციას. თუმცა სექტორის ექსპერტების მოსაზრებით და კერძო სექტორის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ფიზიკური პირები სისტემატიურად ეწევიან როგორც რძის, ისე რძის ნაწარმის რეალიზაციას და მათი უმეტესობა არ არის დარეგისტრირებული როგორც სურსათის მწარმოებელი და არც აღიარების პროცედურა აქვს გავლილი.

რძის სექტორში ოჯახური მეურნეობების (დაურეგისტრირებელი ფიზიკური პირების) მნიშვნელოვან როლზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც, რომელთა თანახმადაც, საქართველოში რძეს უმეტესად ოჯახური მეურნეობები აწარმოებენ, ხოლო საწარმოების წილი მთლიან წარმოებაში ძალიან დაბალია და 2017 წელს მცირედით აღემატებოდა 2%-ს.


freed from the requirement of being recognized as a business operator.

Thus, according to the existing law, natural persons have considerable advantages compared to legal entities, because natural persons are not obliged to be registered as business operators and to be recognized later, if they do not sell their products regularly in an organized manner. However, based on experts' opinions and research conducted by private companies in milk and dairy sector, natural persons sell milk and dairy products regularly in an organized manner, and most of them are not registered as food producers and they have not undergone the procedure of recognition either.

Statistical data also reflects the important role of family farms (unregistered natural persons) in milk and dairy production; according to the data, milk in Georgia is mainly produced by family holdings, while the share of agricultural enterprises in total milk production is quite low and was slightly above 2% in 2017.

დიაგრამა 1: ოჯახური მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი რძის მთლიან წარმოებაში

Diagram 1: Share of family holdings and agricultural enterprises in total milk production



წყარო: საქსტატი, 2018 წელი

Source: Geostat, 2018

წლებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ საწარმოების წილი რძის წარმოებაში იზრდება, თუმცა შედარებით უმნიშვნელოდ.

განსაკუთრებით მწვავე საკითხია დაურეგისტრირებელი ფიზიკური პირების საქმიანობა ყველის წარმოებაში. რძის პროდუქტებიდან საქართველოში ყველაზე მოთხოვნილი ყველია და მის უმეტესობას სწორედ არარეგისტრირებული და არააღიარებული მწარმოებლები აწარმოებენ. ასეთი ტიპის მწარმოებლების ნაწილი მცირე ზომის მწარმოებლებია, თუმცა არიან შედარებით მსხვილი დაურეგისტრირებელი საწარმოებიც, რომელთა საქმიანობასაც არ აკონტროლებს სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს).

ასეთი მწარმოებლები თავისი ნაწარმის რეალიზაციას ახდენენ როგორც გარე ვაჭრობით, ისე აგრარულ ბაზრებსა და უბნის მაღაზიებში თავად ან შუამავალების მეშვეობით. ორივე შემთხვევაში შეინიშნება კონტროლის ნაკლებობა

If we look more closely at annual trends, we see that the share of enterprises in total production has been increasing, but rather insignificantly.

The activities of unregistered natural persons are especially problematic in cheese production. Cheese is the most in-demand dairy product in Georgia, and most of it is produced by unregistered and unrecognized producers. Some of these producers are small-scale producers, however, there are also some rather large unregistered enterprises whose activities are not controlled by the National Food Agency (NFA).

These producers sell their product on street counters, at agricultural markets, in neighborhood shops, or through intermediaries. In all of these cases, there is a

უფლებამოსილი პირის მხრიდან (გარე ვაჭრობის შემთხვევაში, ეს საპატრულო პოლიციაა, რეგისტრირებული აგრარული ბაზრებისა და უბნის მაღაზიების შემთხვევაში – სეს), რაც თვალნათლივ ჩანს იმ ჰიგიენური პირობებიდან გამომდინარე, რაც მომხმარებელს ხვდება გარე ვაჭრობის შემთხვევაში თუ აგრარული ბაზრების დახლზე. გარდა არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობებისა, აგრარულ ბაზრებში განთავსებული ყველი, როგორც წესი, არ არის შეფუთული და ეტიკეტირებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი არ გამოორიცხავს გამყიდველის მიერ ეტიკეტთან გათანაბრებული დოკუმენტაციის ფლობას, ეს დოკუმენტაცია არ არის განლაგებული თვალსაჩინო ადგილას და, სურვილის შემთხვევაში, მოხმარებელმა გამყიდველს უნდა სთხოვოს ეს დოკუმენტაცია, რასაც, შესაძლოა, გამყიდველის მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვეს.

კერძო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებით, საქართველოს რძისა და რძის პროდუქტების ბაზრის ზომა დაახლოებით 0.6 მილიარდი აშშ დოლარია. მათივე მოსაზრებით, წარმოებული პროდუქტის მხოლოდ 5% რეალიზდება ფორმალური ორგანიზებული რეალიზაციის არხებით, დანარჩენი კი ფაქტობრივად უკონტროლოდ, არაფორმალური არხებით რეალიზდება.

ვინაიდან ყველის მწარმოებელთა უმეტესობა დაურეგისტრირებელია, ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი მწარმოებელია ქვეყანაში, თუმცა მეტ-ნაკლებად ცნობილია ყველის წარმოების გადანაწილება ოჯახურ მეურნეობებსა და კერძო სექტორს შორის. მაგალითად, 2015 წელს საქართველოში ყველის მთლიანმა წარმოებამ 68.5 ათასი ტონა შეადგინა³. აქედან ოჯახურ მეურნეობაში წარმოებული ყველის წილმა მთლიანი წარმოების 93% შეადგინა, რაც 63.8 ათას ტონას შეესაბამება, ხოლო საწარმოების წილმა, შესაბამისად, 7% შეადგინა. 2014 წელთან შედარებით, 2015 წლის წარმოების მაჩვენებელი კერძო საწარმოებისთვის

lack of control from the authorities (in the case of street counters, the patrol police and in the case of agricultural markets and neighborhood shops, the NFA) that can be clearly observed by the unhygienic conditions that the customer encounters at street counters or agricultural markets. Apart from unsatisfactory hygienic conditions, usually cheese at agricultural markets is not packaged and labeled. While this does not mean that the seller does not have the information equivalent to what would be on a label, the documentation is, however, not placed in a visible location. Thus, the customer should ask for the documentation if he/she would like to see it, and this could cause dissatisfaction on the part of the seller.

Based on the assessments of private sector representatives, the value of milk and dairy products in Georgia is about USD 0.6 billion. According to them, only 5% of the product is sold through organized trade channels. The rest is sold by practically uncontrolled means.

Since the majority of cheese producers are unregistered, it is difficult to say how many producers there are in the country. However, the distribution of cheese production between family farmers and the private sector is more or less known. For example, in 2015, the total amount of cheese produced in Georgia amounted to 68.5 thousand tons³ out of which 93% 63.8 thousand tons, was cheese produced by family farmers, and enterprises' share was therefore 7%. Compared to 2014, the value for private enterprises more than doubled in 2015. In 2014, private enterprises produced

3 ამოღებულია, <https://sputnik-georgia.com/actual/20170508/235891983/ratom-aris-momgebiani-imeruli-kvelis-rdzis-fxvnilit-carmoeba.html>, 2018 წ.

3 Excerpt from: <https://sputnik-georgia.com/actual/20170508/235891983/ratom-aris-momgebiani-imeruli-kvelis-rdzis-fxvnilit-carmoeba.html>, 2018

100%-ზე მეტად გაიზარდა. 2014 წელს კერძო სანარმოებმა 2.3 ათასი ტონა აწარმოეს. ყველის წარმოებაში კერძო სანარმოების წილის ზრდის ტენდენცია დამაიმედებელია, თუმცა მათ მიერ წარმოებული ყველის რაოდენობა კვლავ მცირეა ოჯახური მეურნეობების წარმოების დონესთან შედარებით.


ოჯახური სანარმოების დიდი წილიდან გამომდინარე, დღესდღეობით ყველის ბაზრის უმეტესი ნაწილი უკონტროლოდაა დარჩენილი, რაც გამოიხატება წარმოების, დისტრიბუციისა და გაყიდვის საფეხურებზე არამხოლოდ სურსათის უვნებლობის მინიმალური პრაქტიკის არარსებობით, არამედ ისეთი პროდუქციის წარმოებით, რომელიც რეგლამენტის თანახმად არ შეესაბამება ყველს. მასობრივად ხდება ალდგენილი რძის (ე.წ. რძის ფხვნილის) გამოყენება და რძის ფხვნილით წარმოებული ყველისებრი პროდუქტის „ყველად“ მიწოდება მომხმარებლისთვის.

2.3 thousand tons of cheese. The growing trend in private enterprise production looks hopeful, but the amount of cheese they produce is still low compared to the production level of family farmers.

Based on the large share of family farmers in total production, most of the cheese market remains uncontrolled today. This can be observed not only by the minimal food safety practices at the stages of production, distribution, and sale, but also by creating such products that, according to regulation, do not meet the definition of cheese. Reconstituted (“powdered”) milk is used in large quantities and the “cheese-like” product obtained from powdered milk is sold as cheese to customers.

დიაგრამა 2: წარმოებული რძისა და იმპორტული რძის ფხვნილის⁴ რაოდენობა

Diagram 2: Amount of produced raw milk and imported powdered milk⁴



წყარო: საქსტატი და ფინანსთა სამინისტრო, 2018 წელი


Source: Geostat and Ministry of Finance of Georgia, 2018

4 საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) 040210 და 040221 და შესაბამისი ქვეკატეგორიები.

4 Foreign Economic Activity National Commodity Nomenclature 040210 and 040221, corresponding sub-categories.

დიაგრამა 3. რძის ფხვნილის იმპორტიორი ქვეყნები, 2017 წელი

Diagram 3: Powdered milk importing countries, 2017



წყარო: საქსტატი და ფინანსთა სამინისტრო, 2018 წელი

Source: Geostat and Ministry of Finance of Georgia, 2018

მე-2 დიაგრამიდან ჩანს, რომ რძის წარმოება ბოლო 4 წლის განმავლობაში მცირდება, ხოლო იმპორტული რძის ფხვნილის რაოდენობა იზრდება. აღსანიშნავია, რომ დინამიკა განსხვავებულია ფურისა და ფურკამეჩის რძისთვის და ცხვრისა და თხის რძისთვის. ამ უკანასკნელის წარმოება ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როდესაც ფურისა და ფურკამეჩის რძის რაოდენობა მცირდება. ვინაიდან რძის 98% (518.1 მილიონი ლიტრი) ფურისა და ფურკამეჩისგანაა მიღებული, ჯამურ მონაცემშიც შემცირება ფიქსირდება.

რაც შეეხება რძის ფხვნილს, 2017 წელს საქართველომ რძის ფხვნილი 19 ქვეყნიდან შემოიტანა. ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია უკრაინა, ირანი და თურქეთი (დიაგრამა 3). დანარჩენ 16 ქვეყანაზე კი ერთად მოდის იმპორტის 47%. უკრაინელ ექსპერტებთან ინტერვიუზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ

Diagram #2 shows that milk production has been declining for the last 4 years while the amount of imported powdered milk has been increasing. It is worth mentioning that the dynamics are different for cow milk and for sheep and goat milk. Production of the latter has been observed to have an increasing trend. Since 98% of milk (518.1 mln. liters) is produced from cows, the overall value is still declining.

As for powdered milk, in 2017 Georgia imported it from 19 countries. The main import countries are Ukraine, Iran, and Turkey (Diagram #3). The remaining 16 countries make up 47% of total imports. Per an interview with Ukrainian experts, powdered milk is produced from the low-

უკრაინაში რძის ფხვნილი ნედლი რძის ყველაზე დაბალი კატეგორიიდან ინარმოება, რაც იმას ნიშნავს, რომ რძის ფხვნილი შედარებით დაბალი ხარისხისაა. ზოგადად, უკრაინაში რძის სექტორი საკმაოდ კარგად არის განვითარებული და ქვეყანაში წარმოებული რძე დახარისხებულია კატეგორიების მიხედვით (მაგ. უმაღლესი, პირველი, მეორე) და სხვადასხვა რძის ნაწარმი სხვადასხვა რძის კატეგორიიდან ინარმოება. რძის ფხვნილის შემთხვევაში კი, როგორც აღინიშნა, ყველაზე დაბალი კატეგორიის რძე გამოიყენება. ეს რძე უვნებელია, რადგან წარმოებულია სურსათის უვნებლობის სტანდარტის დაცვით, მაგრამ მისი სარგებლიანობა დაბალია.

ზოგადად აღდგენილი რძის გამოყენება არ არის კანონით აკრძალული ქმედება, თუ არ ხდება მისი გამოყენებით ყველის წარმოება და პროდუქტი შესაბამისად არის ეტიკეტირებული. თუმცა პრობლემა იქმნება, როდესაც აღდგენილი რძის გამოყენების შემთხვევაში, ხდება ცხოველური ცხიმის ნაცვლად მცენარეულის ცხიმის დამატება და ასეთი პროდუქტის რძის პროდუქტად გასაღება. ეს არის აპრობირებული პრაქტიკა, რაც ამცირებს წარმოების დანახარჯს, მაგრამ ამცირებს საბოლოო პროდუქტის სარგებლიანობასაც. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მცენარეული ცხიმის წყარო ხშირ შემთხვევაში ტექნიკური პალმის ზეთია, ასეთი რძის პროდუქტი არამხოლოდ უსარგებლო, არამედ მავნებელიც არის ჯანმრთელობისთვის ტრანსცხიმების⁵ შემცველობის გამო, რაც არის სინთეტიკური ცხიმი, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი ვერ ამუშავებს.

est quality raw milk in Ukraine, which might signal relatively low quality of milk powder. In general Ukrainian milk and dairy sector is very well developed and the milk produced in the country is classified in different categories (e.g. first, second, etc.) and different dairy products are produced from different categories of milk. In the case of powdered milk, as already mentioned, the lowest category of milk is used. This type of milk is not dangerous for health since it is produced according to food safety standards, but its benefits are very low.


Generally speaking, using reconstituted milk is not prohibited by law unless it is used in producing cheese without the corresponding label. However, problems emerge when in addition to reconstituted milk, vegetable fat is used instead of milk fat and these goods are still sold as dairy products. This is a proven method that decreases production costs but also diminishes the health benefits of the final product. Additionally, if we take into account the fact that the vegetable fat usually comes from technical palm oil, the product not only loses its benefits but becomes harmful for human health due to trans-fat⁵, which is synthetic fat that the human body cannot process.

5 არანაჯერი ცხიმების ნაირსახეობა, რომელიც წარმოიშობა არანაჯერი ცხიმების მაღალტემპერატურული დამუშავების პიდროგენიზაციის (წყალბადის ატომების დამატებით) საშუალებით.

5 An unsaturated type of fat that is obtained by processing unsaturated fat at a high temperature through hydrogenation (treating with hydrogen)

დიაგრამა 4. მცენარეული ცხიმებისა და ზეთების⁶ იმპორტი

Diagram 4. Vegetable fats, oils and their fractions' imports⁶




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, 2018 წელი

Source: Data from Ministry of Finance of Georgia, 2018

დიაგრამა 5. მცენარეული ცხიმებისა და ზეთების იმპორტიორი ქვეყნები, 2017 წელი

Diagram 5. Vegetable fats and oils importing countries, 2017



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, 2018 წელი

Source: Data from Ministry of Finance of Georgia, 2018

6 მცენარეული ცხიმები და ზეთები და მათი ფრაქციები, მთლიანად ან ნაწილობრივ ჰიდროგენირებული, გადაინტერეტერიფიცირებული, რეტერიფიცირებული ან ელადიფიცირებული, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) – 151620 და შესაბამისი ქვეკატეგორიები.

6 Vegetable fats and oils and their fractions, either as a whole or partially hydrogenated, Vegetable fats and oils and their fractions, either completely or partly hydrogenized, transmited, re-metered, recycled or elided, unrefined or refined, but without further processing. Foreign Economic Activity National Commodity Nomenclature, 151620 and corresponding sub-categories.

როგორც მე-4 დიაგრამიდან ჩანს, მცენარეული ცხიმებისა და ზეთების იმპორტიც ზრდადი ტრენდით ხასიათდება და იმპორტი ძირითადად აზერბაიჯანიდან (61%) და მალაიზიიდან (31%) ხდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანონდარღვევით რძისა და რძის პროდუქტების წარმოებას არამხოლოდ ოჯახური მეურნეობები ეწევიან, არამედ არარეგისტრირებული გადამამუშავებლებიც. როგორც კვლევის დროს გაირკვა, დაურეგისტრირებელ საწარმოებს შორის არიან მსხვილი საწარმოებიც, რომლებიც ყოველდღიურად დიდი რაოდენობის რძეს გადამამუშავებენ. მრავლად არის წარმოდგენილი შედარებით მცირე ზომის დაურეგისტრირებული რძის გადამამუშავებლებიც. კონტროლის ნაკლებობის გამო, რეგისტრირებული და არარეგისტრირებული საწარმოები არათანაბარი კონკურენციის პირობებში იმყოფებიან.

2.2 იურიდიული პირების⁷ შემთხვევაში, რძისა და რძის ნაწარმის დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის ნაკლებობა

აღსანიშნავია ისიც, რომ სურსათის უვნებლობის სანიმუშო პრაქტიკის დარღვევა ხდება რეგისტრირებული საწარმოების შემთხვევაშიც. 2017 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეამოწმა 105 რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია, რომელთა 61% (68 ბიზნეს-ოპერატორი) დაჯარიმდა. შემოწმებული 105 საწარმოდან ინსპექტირებული ყველის მწარმოებლების რაოდენობა იყო 42 და მხოლოდ 2-მა დაარღვია სურსათის უვნებლობის სტანდარტები.

2018 წლის ივნისში შემოწმებული ყველის 21 ნიმუშიდან, მხოლოდ 1 ნიმუშში (4.8%) აღმოჩნდა დარღვევა და ის შეიცავდა მცენარეულ ცხიმს, ხოლო შემოწმებული კარაქის

As Diagram #4 shows, imports of vegetable fats and oils have an increasing trend and these imports mainly come from Azerbaijan (61%) and Malaysia (31%).

It is also worth mentioning that producing milk and dairy products violating the law does not happen only in relatively small scale family farms but also in unregistered processors. Research has revealed that there are large enterprises among the unregistered producers who process a large amount of milk daily. There are many small unregistered milk processors as well. Due to the lack of control mechanisms, registered and unregistered enterprises are in unequal competition.

2.2 Lack of control mechanisms for legal entities⁷ at the stages of distributing milk and dairy products

It is also worth mentioning that registered enterprises do not follow best practices, either. In 2017, the NFA checked 105 enterprises producing milk and dairy products, out of which 61% (68 business operators) were fined. Out of 105 enterprises that have been checked, 42 inspected enterprises were cheese producers and 2 out of them violated food safety standards.

In June 2018, out of 21 inspected cheese samples, only 1 (4.8%) proved to include vegetable fat and out of 6 butter samples, none included any veg-

7 რეგისტრირებული ბიზნესოპერატორები.

7 Registered business operators

6 ნიმუშიდან არცერთში არ აღმოჩნდა მცენარეული ცხიმო. მდგომარეობა შედარებით რთულია ბრუცელოზის მონიტორინგის შემთხვევაში: 2018 წლის ივნისში შემონმბებული ნედლი რძის 101 ნიმუშიდან 20-ში (19.8%) აღმოჩნდა ბრუცელოზი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ რეგისტრირებული რძის საწარმოების მიერ ეტიკეტზე დატანილი ინფორმაცია შესაძლოა დამაბნეველი იყოს მომხმარებლისთვის და, რიგ შემთხვევაში, კლასიფიცირდეს როგორც მომხმარებლის მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანის მცდელობა. ქვემოთ წარმოდგენილია ამის რამდენიმე მაგალითი:

1. ე.წ. **A** და **B** კატეგორიების გამოყენება შეფუთვაზე იმის აღსანიშნავად, რძის პროდუქტი წარმოებულია აღდგენილი რძისგან თუ ნედლი რძისგან. ეს საშუალებას აძლევს საწარმოს, თავი აარიდოს რძის ფხვნილის გამოყენების ფაქტის თვალნათლივ წარმოჩენას. საწარმოები სათავისოდ იყენებენ იმ გარემოებასაც, რომ მომხმარებელთა უმეტესობას საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ამ კატეგორიების არსებობის შესახებ და იმ შემთხვევაშიც, თუ იციან ეს, შეიძლება არ იცოდნენ, ზუსტად სადაა განლაგებული კატეგორიის მინიშნება.
2. ერთი და იმავე ბრენდის თვისობრივად იდენტური ნაწარმი შეიძლება განსხვავდებოდეს **A** და **B** კატეგორიების თვალსაზრისით. მაგალითად, ერთი და იმავე ბრენდის ხაჭოზე ვანილის გემოთი შესაძლოა დატანილი იყოს **A** კატეგორიის აღნიშვნა, ხოლო იმავე ბრენდისა და ხაზის ხაჭოზე ალუბლის ჯემით დატანილი იყოს **B** კატეგორიის აღნიშვნა. ამ მიდგომამ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი, ვინაიდან ერთი და იმავე ბრენდისა და ხაზის პროდუქტის შემთხვევაში, მომხმარებლების უმეტესობა ლოგიკურად მიიჩნევს, რომ განსხვავება მხოლოდ გემოშია.
3. უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კომპანიები რძის ფხვნილის-

etable fat. The situation is somewhat complicated in the case of brucellosis: out of 101 raw milk samples, 20 (19.8%) were infected with brucellosis.

Additionally, information provided on labels from registered enterprises can be confusing for customers, and can be classified as an attempt to deliberately mislead customers. A few examples are presented as follows:

1. Using so-called **A** and **B** categories on the package to inform customers whether a dairy product is produced using reconstituted or raw milk. This gives enterprises the opportunity to avoid clearly presenting the fact that the product contains powdered milk. Enterprises take advantage of the fact that customers have no information about the existence of these categories and even if they know about them, might not know where exactly the indication is placed on the package.
2. Nearly identical products from the same brand might have different (**A** and **B**) categories. For example, vanilla-flavored cottage cheese might have the category **A** sign on it, while the cherry-flavored product from the same brand might be category **B**. This can mislead the customer since in the case of the same brand and line, most customers logically assume that the flavor is the only difference.
3. Another case is when products based on powdered milk are labeled so that they are associated with cheese. Examples of these labels include: "Imeruli", "Chkinti", "Sakhachapure" and so on. These names are definitely associated with cheese and customers assume

გან ნაწარმოებ პროდუქტს არქმევენ ისეთ სახელს, რომელიც ასოცირდება ყველთან. ასეთი დასახელებების მაგალითებია: „იმერული“, „ჭყინტი“, „სახაჭაპურე“ და სხვ., რაც ცალსახად ასოცირდება ყველთან და მომხმარებელი იძენს ამ პროდუქტს როგორც ყველს.

აღსანიშნავია, რომ არცერთი ზემოთ აღნიშნული შემთხვევა დღესდღეობით არ წარმოადგენს კანონდარღვევას, თუმცა ცალსახად იწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას და, შესაბამისად, მისი ინტერესების შელახვას.

სურსათის უვნებლობის კონტროლის ნაკლებობა შეინიშნება საცალო ვაჭრობის ობიექტებშიც, სადაც არის შემთხვევები, როდესაც შენახვის პირობები დარღვეულია ან დახლზე იყიდება არაეტიკეტირებული რძის ნაწარმი. უკანასკნელი შემთხვევა განსაკუთრებით ხშირია ყველთან მიმართებაში.

2.3 მომხმარებლის დაბალი ცნობიერება

მართალია, რძის საწარმოების კონტროლზე ოფიციალურად პასუხისმგებელია სახელმწიფო, თუმცა ეს ფუნქცია აუცილებლად უნდა შეითავსოს მომხმარებელმაც, რომელსაც ხშირ შემთხვევაში არ აქვს სრულად გააზრებული თავისი როლი ტექნიკური რეგლამენტის აღსრულებისა და ზოგადად სურსათის უვნებლობის სანიმუშო პრაქტიკის დანერგვის პროცესში.

კვლევის დროს რძის პროდუქტების მწარმოებლებმა და სეს-ის წარმომადგენელმა აღნიშნეს მომხმარებლის ცნობიერების დაბალი დონე და პასიურობა რეგლამენტის აღსრულების კუთხით. კერძოდ კი, აღინიშნა მომხმარებლის დაბალი ცნობიერება იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი აკისრია მას რეგლამენტის აღსრულების პროცესში.

იმის დასადგენად, თუ რამდენად გათვითცნობიერებულია მომხმარებელი რძის სექტორში

that those products are cheese.

It is worth mentioning that not one of the above-mentioned cases can be considered a violation of the law. However, they definitely mislead customers and thus, damage their interests.

Lack of food safety control can be observed in retail stores as well, where storage conditions are violated and unlabeled dairy products are sold on the shelves. The latter is especially frequent when it comes to cheese.

2.3 Consumers' low awareness

Even though the state is officially responsible for controlling dairy-producing enterprises, this role should also be shared by consumers, who often do not realize their role in enforcing and generally introducing food safety best practices.

During the research, milk producers and representatives of the NFA also referred to consumers' low awareness and passive approach to the implementation of the regulation. More specifically, it was noted that consumers have low awareness when it comes to their role in the implementation process of the regulation.

In order to find out how well-aware consumers are of the regulations in the dairy sector and how they act when

